


## მორბენლის საკავშირო დღე: ათიათასობით მონაწილე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 176 (7487)

13 1983 წ. სექტემბერი შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ჯანმრთელობის, სიჭაბუკის დღესასწაული

**ლენინის რაიონის** მშრომელები, სკოლების და სხვადასხვა სასწავლებლების მოსწავლეები სპორტულ დღესასწაულებს ძირითადად კიკვიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში ატარებენ, მაგრამ, ახლა, ამ პარკში მორბენლის დღისადმი მიძღვნილ ზეიმზე მოსული კაცი ცოტა არ იყოს გაოცებული დარჩებოდა: თუმცა პარკი დაწკრიალებული და საზეიმოდ მორთული იყო, მის ტერიტორიაზე რამდენიმე მომლოდინე ადამიანის მეტი არავინ ჩანდა, მაგრამ სულ მალე, ხუთწლედის ქუჩის მხრიდან ყიჟინა გაისმა და პარკში მორბენალთა პირველი ტალღა შემოიჭრა. მორბოდნენ მოსწავლეები და მასწავლებლები, საწარმოების მუშა-მოსამსახურენი, ვაჭრობისა და მედიცინის მუშაკები. ზოგი მათგანი სირბილს სწრაფ სიარულს უნაცვლებდა. ბევრი მოსწავლე მშობლებთან ერთად მორბოდა. კროსის 1500-მეტრიანი მანძილის დამთავრების შემდეგ ნორჩებმა და მოზარდებმა სული მოითქვეს თუ არა, მაშინვე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათთვის საგანგებოდ მომზადებულ სპორტულ მოედნებს მიესივნენ. გაჩაღდა ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის თამაში, ზოგმა ჭადრაკის დაფებს მიაშურა, გაიმართა აკრობატთა საჩვენებელი გამოსვლები. ყველაფერი ეს სასულე ორკესტრის თანხლებით მიმდინარეობდა.

ლენინის რაიონში სპორტული ზეიმი მხოლოდ კიკვიძის პარკით არ ამოიწურებოდა. რადგან მისი სიმცირის გამო 36 ათასამდე კაცის მასპინძლობა შეუძლებელი იყო (რაიონის ხელმძღვანელთა ცნობით, სწორედ ამდენი ადამიანი მონაწილეობდა ჯანმრთელობის დღესასწაულში). მეორე ანალოგიური გარბენი შატილის ქუჩაზე დაიწყო და სტადიონ „სიხარულზე" დასრულდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მორბენლის დღის მოსამზადებლად შექმნილი შტაბის ნაყოფიერი საქმიანობა. შტაბმა პარტიის რაიკომის მეორე მდივნის ქეთევან ლაცაბიძის ხელმძღვანელობით ძალა და ენერგია არ დაიშურა, რომ ეს სპორტული დღესასწაული მასობრივი და შთამბეჭდავი ყოფილიყო. ზეიმს დიდი გულისყურით მოეკიდნენ საწარმოო დაწესებულებების, სკოლების და სასწავლებლების ხელმძღვანელები, პარტიული ორგანიზაციის მდივნები. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი კიროვის სახელობის ქარხნის (დირექტორი გ. ჯიქიძე, პარტიული ორგანიზაცის მდივანი ზ. კიკნაველიძე), კარდიოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, „დინამოს" სამკერვალო ფაბრიკის, ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის, კიკვიძის სახელობის პარკის და სხვა კოლექტივებმა.

ვფიქრობთ, მორბენლის დღისადმი მიძღვნილმა ზეიმმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა ყველა მონაწილეზე, განსაკუთრებით კი ნორჩებზე. სწორედ ამის გასაგებად მივმართეთ პირველსავე შემხვედრს. იგი აღმოჩნდა თბილისის მე-11 სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე მარინა ლატიპოვა. როგორც გამოირკვა, მას მძლეოსნურ გარბენებში მონაწილეობის საკმაო გამოცდილება ჰქონია, რაც მისი მშობლიური სკოლის დამსახურებაა. აქ თურმე ყოველ დღესასწაულზე სხვადასხვა გარბენები ეწყობა, მაგრამ...

— უამრავ მონაწილესთან ერთად სირბილი გაცილებით საინტერესო იყო, — თქვა მარინამ.

**პირველი მაისის** რაიონის შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები, საშუალო სკოლების, ტექნიკუმების მოსწავლეები, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები — სულ 10000-ზე მეტი კაცი — მარჯანიშვილის მოედანზე შეიკრიბა.

რომის ოლიმპიადის ჩემპიონმა რ. შავლაყაძემ სასტარტო ალამი დაიქნია და დაიწყო...

— დღევანდელ ღონისძიებაში რაიონის ყოველი მე-10 მცხოვრები მონაწილეობს, — გვეუბნება საქართველოს კპ თბილისის პირველი მაისის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ა. ეჯიბაძე, — ამ დღისათვის თადარიგს ადრიანად შევუდექით, გარკვეული სამუშაოები ჩავატარეთ ორჯონიკიძის სახელობის პარკშიც — აქ ხომ ბევრი სპორტული ღონისძიება — მინი-ფეხბურთი, ბაგირის გადაძალვა, სიმძიმეების აწევა, კრივი. მოკლე მანძილების რბენა გაიმართება...

ფინიშამდე („დინამოს" სტადიონთან) სულ უფრო ნაკლები მანძილი რჩება, ისინი, ვინც მა-

(დასასრული მე-2-3 გვ.).

• • •



**სურათებზე:** მორბენლის საკავშირო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ამსახველი მომენტები თბილისში.




## გვატყობინებენ...

**ქუთაისში** სტარტზე გამოვიდა 92000 კაცი, მათ შორის ლენინის რაიონის 46600 და ავტოქარხნის რაიონის 45400 ფიზკულტურელი.

**ფოთში** ამ დღეს გამართულ ღონისძიებაში მონაწილეობდა 85000 კაცი,

**ტყიბულში** — 7000,
**მახარაძეში** — 14000.
**თელავში** — 2000,
**ონში** — 2000-ზე მეტი,
**წითელწყაროში** — 5000,
**ცაგერში** — 2300,
**სამტრედიაში** — 3700,
**წულუკიძეში** — 2500,
**ყვარელში** — 500,
**წალენჯიხაში** — 600,
**ხობში** — 715,
**გორში** — 10000,

ეს დღე მახობრიობით აღინიშნა საქართველოს ბევრ სხვა ქალაქსა და რაიონში.

მორბენლის საკავშირო დღე: ათიათასობით მონაწილე

# ჯანმრთელობის, სიჭაბუკის დღესასწაული
















დასასრული

ლალი ტემპით დაიწყეს რბენა, დაიღალნენ, სიარულზე გადავიდნენ.

— ამ ასპარეზობისთვის ყველა როდია ჯეროვნად მომზადებული, — გვეუბნება რ. შავლაყაძე, — ბევრმა არ იცის, რომ საჭიროა ძალების რაციონალური განაწილება, ძუნძულით სირბილი, ეს უფრო სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის.

ფინიშთან ღონისძიების ორ მონაწილეს გვაცნობენ — 80 წლის ნინო ღვედაშვილს და 66 წლის მარია ხრიაშჩევას — დიღმის ტყე-პარკში არსებული გამაჯანსაღებელი ჯგუფის წევრებს.

— წელიწადია რაც ამ გამაჯანსაღებელ ჯგუფში (ჩვენთან ერთად 60-მდე ქალია) ვვარჯიშობთ, ამ ხნის მანძილზე წონაშიც საგრძნობლად დავიკელით, ჯანმრთელობაც შესამჩნევად გავიკაჟეთ. სურდო რაა, ისიც კი არ შეგვყრია, — გვეუბნებიან ისინი.

... ამასობაში 11 საათიც დგება. პარკის სხვადასხვა კუთხეში იწყება სპორტული შეჯიბრებები. სუფთა ჰაერზე, ბუნების წიაღში გატარებული ეს დღე ბევრი თბილისელისთვის იქცა ჯანმრთელობის, ხალისის, სიხარულის დღედ.

**ორჯონიკიძის** რაიონის წარმომადგენლები ჭავჭავაძის პროსპექტის ბოლოს შეგროვდნენ და პედაგოგების მეთაურობით კუს ტბისაკენ აიღეს გეზი.

ირგვლივ ტევა არ იყო, ტბის ორივე მხარეს ჯგუფ-ჯგუფად იყვნენ განლაგებულნი სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. აქ თავი მოეყარათ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის — 2000, უცხო ენების ინსტიტუტის — 800, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის — 2700 და თეატრალური ინსტიტუტისა და კონსერვატორიის სტუდენტებს.

აქვე ტარდებოდა შეჯიბრებები მოძრავ თამაშებში: ბაგირის გადაძალვა, მესამე ზედმეტი, ლახტი და სხვა.

სტუდენტებთან ერთად იყვნენ უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური აღზრდის კათედრის პროფესორ-მასწავლებლები. აი, რა გვითხრა ზოგიერთმა მათგანმა:

უნივერსიტეტის ფიზაღზრდის კათედრის გამგე — ელენე გოკიელი:

— მოხარული ვარ იმით, რომ ჩვენში ძალიან იმატა ამგვარმა სპორტულმა დღესასწაულებმა, ხშირად ეწყობა სპორტის სხვადასხვა სახეობებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და სულ უფრო და უფრო მეტი სტუდენტი ებმება ამ მეტად საჭირო და სასარგებლო ღონისძიებაში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს თვით ხალხის, კერძოდ კი სტუდენტობის დიდი დაინტერესება სპორტით — თუ შარშან, ამ დღეს მხოლოდ პირველკურსელები მონაწილეობდნენ დღესასწაულში, წლეულს თავისი სურვილით შემოგვიერთდნენ II და III კურსის სტუდენტებიც, რაც მეტად სასიამოვნოა.

ვიმედოვნებ, რომ მომავალშიც გაგრძელდება სპორტის ამგვარი ზეიმები და არ მოგვაკლდება სტუდენტ-ახალგაზრდობის ფართო მასების ესოდენ დიდი მხარდაჭერა.

სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" თავმჯდომარის მოადგილე — ბონდო ნიკურაძე:

— ჩატარებული აღრიცხვის შედეგად, ყველა მონაკვეთზე დაკავებული სტუდენტების რაოდენობა 7500 კაცს შეადგენს. ძირითადი მასა თავს იყრის კუს ტბაზე, ესენი არიან: უნივერსიტეტის, უცხო ენების, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტისა და კონსერვატორიის სტუდენტები. უცხო ენების ინსტიტუტის გამოკლებით, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები ფეხით გადავლენ ფუნიკულიორის პლატოზე, ხოლო უცხო ენების ინსტიტუტი აქვე ახლოს მდებარე „ბულბულის ჭალისაკენ" აიღებს გეზს.

ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი თავის სტადიონზე აწყობს კროსს: ქალები 500 მ., ვაჟები 1000 მ. ამავე ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლების სპორტულ-გამაჯანსაღებელი ჯგუფი 50 კაცის შემადგენლობით (ხელმძღვანელი ავთანდილ ციბაძე) გუშინ დიდგორში გაემართა ღამისთევით, საიდანაც დღეს საღამოს უნდა დაბრუნდეს.

ასევე საკუთარ სტადიონზე აწყობს მასობრივ კროსს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი.

**დილის** 10 საათზე ლენინის მოედანზე სტარტი აიღო მორბენალთა ვეებერთელა კოლონამ — ეს იყო დედაქალაქის **კალინინის** რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების, 15 სკოლის და წარმოება-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა ჯგუფი. ტალღამ სირბილით გაიარა პუშკინის ქუჩა, ბარათაშვილის ხიდი. ფინიში, რომელიც ყველაზე ადრე პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეებმა გადაკვეთეს, რიყის მოედანზე აღინიშნა. კროსში მასობრივად გამოვიდნენ ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური და მ. თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლების, აგრეთვე რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეები.

— მორბენლის წლევანდელი დღესასწაული განსაკუთრებული მასობრიობით აღინიშნა, — თქვა საქართველოს კპ თბილისის კალინინის რაიკომის მდივანმა ჯ. ვაჩეიშვილმა. — მასში 22000-მდე კაცი გამოდის. არ დარჩენილა არც ერთი ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც მონაწილეობა არ მიეღოს ამ ღონისძიებაში.

გაიმართა შეჯიბრება ლახტში, რომელშიც 10 გუნდი ეჯიბრებოდა ერთმანეთს. პირველობა არავის დაუთმეს 59-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. II და III ადგილები შესაბამისად დაიკავეს 47-ე და 46-ე სკოლების მოსწავლეებმა.

იქვე, რიყის მოედანზე შედგა კიდევ ორი — კიროვისა და 26 კომისრის რაიონების მორბენალთა ფინიში. სამი რაიონის გუნდები ერთმანეთს შეეჯიბრნენ მინი-ფეხბურთში, სიმძიმეების აწევაში, ბაგირის გადაძალვასა და ქართულ ჭიდაობაში.

**26 კომისრის** რაიონის მძლეოსნურ კროსში, რომელმაც სტარტი მეტრო „26 კომისართან" აიღო, მონაწილეობა მიიღეს რაიონის წარმოება-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებმა, საშუალო სკოლებისა და პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებმა, აგრეთვე საბინაო-საექსპლოატაციო უბნების მობინადრეებმა. მათ შორის იყვნენ ფეხსაცმელების ფაბრიკა „ისნის" მუშა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გივი რიმნისთაველი და კერამიკული კომბინატის მუშა, საქალაქო საბჭოს დეპუტატი სიმონ კონტრიძე.

მოეწყო აგრეთვე შეჯიბრება მინი-ფეხბურთში, ბადმინტონში, სიმძიმეების აწევაში, ქართულ ჭიდაობასა და ლახტში.

სულ ამ მასობრივ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო რაიონის 30000-მდე ფიზკულტურელმა.

**კიროვის რაიონის** ფიზკულტურელთა მასობრივ გარბენს სტარტი 300 არაგველის ობელისკთან მიეცა. კროსის მონაწილეთა შორის იყო კურორტოლოგიისა და ფიზიო-თერაპიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა 100-კაციანი ჯგუფი, რომელსაც ინსტიტუტის დირექტორი, საქალაქო საბჭოს დეპუტატი, რაიონის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, 55 წლის ნიკოლოზ ხატიაშვილი ედგა სათავეში.

— თითქმის 5 წელია, რაც ვვარჯიშობ, — გვითხრა მან. — ყოველ დილით, სამსახურში წასვლამდე დავდივარ და შემდეგ დავრბივარ კუს ტბის მიდამოებში, ცურვასაც დიდ ყურადღებას ვუთმობ.

მასობრივ გარბენში სულ მონაწილეობა მიიღო რაიონის 20000-მა კაცმა.

**ოქტომბრის** რაიონის კულტურისა და დასვენების პარკი ქალაქიდან ცოტა მოშორებით, თბილისის ზღვაზე მდებარეობს. შეიძლება არასდროს ყოფილხართ იქ, მაგრამ 11 სექტემბერს ხუდადოვის ქუჩას თუ აუყვებოდით, მისი მიგნება სრულებით არ გაგიჭირდებოდათ. საქმე ის არის, რომ სწორედ ამ მარშრუტით კულტურისა და დასვენების პარკისაკენ ლაშქრული ნაბიჯით მიემართებოდა სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი ათასობით ადამიანი. ეს ოქტომბრის რაიონის მშრომელები მორბენლის დღისადმი მიძღვნილ სპორტული ზეიმის პროგრამით გათვალისწინებულ 3,5-კილომეტრიან ლაშქრობაში მონაწილეობდნენ, ხოლო უფრო ახალგაზრდები და ნორჩები, პარკის ტერიტორიაზე მოწყობილ კროსის ტრასაზე ერთმანეთს სხვადასხვა დისტანციებზე სირბილში ეჯიბრებოდნენ. სტარტი პირველად ფიზკულტურის ტექნიკუმის მოსწავლეებმა აიღეს. მათში ბევრი კარგი სპორტსმენი ერია და თუმცა ზეიმის ძირითადი მიზანი მასში მონაწილეობა იყო, ზოგიერთ მათგანს მაინც შევუმოწმეთ 1000-მეტრიან მანძილზე ნაჩვენები დრო. აქ ყველაზე კარგი შედეგი აღმოაჩნდათ მ. ალთუნაშვილს, ს. ბჟალავას და ა. ბორისოვს — 2.52,0. მათ თითქმის ერთდროულად გადაკვეთეს ფინიშის ხაზი.

შემდეგ, მოსწავლეთა ერთ-ერთ გარბენში, ჩემპიონური ფინიში ვიხილეთ: თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მერვეკლასელმა ირაკლი ავალიანმა თავისი მეტოქეები ჩამოიტოვა და გამარჯვების ნიშნად ხელაწეულმა დაამთავრა დისტანცია. მისი მოხელთება ცოტა გაგვიჭირდა: აღგზნებულმა და გახარებულმა ირაკლიმ ნაცნობმეგობრებს „საპატიო წრე" შემოურბინა, შემდეგ კი დაღლილი ნაწყვეტ-ნაწყვეტ პასუხობდა ჩვენს შეკითხვებს:

— ხშირად მონაწილეობ მძლეოსნურ შეჯიბრებებში?

— არა, ეს ჩემი მეორე შეჯიბრებაა, პირველი კი შარშან იყო, ასევე მორბენლის დღეს.

— ასეთი ფინიში ვინ გასწავლა? ალბათ ტელევიზორში ნახე.

— არა, ძალიან გამიხარდა გამარჯვება და ხელებიც უნებურად ავწიე მაღლა.

— მალე დაიწყება ნიჭიერ ბავშვთა შერჩევა მძლეოსნობაში სავარჯიშოდ. შეეცდები საკუთარი ძალების მოსინჯვას თუ არა?

— დიდი სიამოვნებით.

ამასობაში პარკის ტერიტორიას ემატებოდა და ემატებოდა ხალხი. ბუნებაში გამოსულ ნორჩებს მარტო კროსი რას დაღლიდა და მათაც სხვადასხვა თამაშობები გააჩაღეს. იქვე სახელდახელოდ გამართული დახლები იდგა, სადაც წიგნებით, გამაგრილებელი სასმელებით და სხვადასხვა ნუგბარით ვაჭრობა მიმდინარეობდა. ყველაფერს ეტყობოდა, რომ პარტიის ოქტომბრის რაიკომში შექმნილ საორგანიზაციო შტაბს ვიოლეტა იანკოვსკაიას ხელმძღვანელობით მორბენლის დღისადმი მიძღვნილი ზეიმის მოსამზადებლად დიდი შრომა გაუწევია. პარტიის რაიკომს მხარში ამოუდგნენ სხვადასხვა საწარმოს ხელმძღვანელები, სკოლებისა და სასწავლებლების დირექტორები და პარტიული მუშაკები. სპორტულ დღესასწაულში მრავალრიცხოვანი რაზმით ჩაებნენ მეტროპოლიტენის სამმართველოს მუშაკები, ხოლო თვით ზეიმს უნარიან ხელმძღვანელობას უწევდნენ ფიზკულტურის ინსტრუქტორები, მათ შორის ხომ ბევრი გამოცდილი მსაჯი იყო. თუნდაც სპორტის ოსტატი ს. ხაჩატურიანი. ამ დღეს ოქტომბრის რაიონიდან ბუნების წიაღში ჯანმრთელობა გაიკაჟა 15000-მდე ადამიანმა.

**თერთმეტის** ნახევარზე უნდა დაწყებულიყო სპორტული ზეიმი **გლდანის** რაიონში, მაგრამ უკვე 9 საათისთვის მოსული ძლივს მონახავდა თავისუფალ ადგილს „სინათლეს" სტადიონის ტრიბუნაზე. „ბრძოლის ველზე" მომავალი დღესასწაულის მონაწილენი უკანასკნელ ვარჯიშს ატარებდნენ.

ჩვენი ყურადღება სტადიონის ერთ-ერთ კუთხეში სპორტულმა ოჯახმა მიიქცია — სპორტულ ფორმაში გამოწყობილი მაღალი, ტანადი, ენერგიული ქალიშვილი სკოლამდელი ასაკის 2 ბიჭუნას მორიგ ვარჯიშს უჩვენებდა. ისინიც გულმოდგინედ იმეორებდნენ.

— ჩვენ [illegible] მიკრორაიონში ვცხოვრობთ. — გვითხრა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ნანა კორსავამ. — დღეს კი საგანგებოდ მოვედით სტადიონზე, რათა მონაწილეობა მივიღოთ მორბენლის დღისადმი მიძღვნილ ზეიმში. — მართალია, ამჟამად მე ჩემს მშობლებთან და დისშვილებთან ერთად სტარტზე ვერ გამოვალ და მაყურებლების როლში ვიქნები, მაგრამ მომავალ სპორტულ დღესასწაულისთვის ჩვენ უკეთ მოვემზადებით და მთელი ოჯახით გამოვალთ სარბენ ბილიკზე.

განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდა ზეიმის საპატიო სტუმარი — [illegible] ხანში შესული მორბენალი: იგი თბილისში შვებულებით ჩამოსული, მოსკოველ მეცნიერთა სირბილის მოყვარულთა კლუბის წევრი, შვიდ ათეულ წელს გადაცილებული პროფესორი ევგენი ჟუკოვი გახლავთ.

— როდესაც გავიგე, რომ თქვენთანაც სირბილის მოყვარულთა შესანიშნავი ზეიმი მზადდებოდა, დაუყოვნებლივ გადავწყვიტე მონაწილეობა მიმეღო. — თქვა სტუმარმა. — რბენა ისე დამკვიდრდა ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებაში და ისეთი კოლოსალური დახმარება გამიწია მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ჯანმრთელობის აღდგენაში, რომ მას შემდეგ მე ყველას დაჟინებით ვურჩევ ყოველდღიურად ირბინონ რეკორდებისთვის თუ არა, საკუთარი ჯანმრთელობისთვის მაინც.

... და აი, მასობრივი გარბენის დროც დადგა. ერთმანეთის მიყოლებით სტარტი აიღეს საშუალო სკოლებისა და პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებმა, საწარმოო კოლექტივების მუშა-მოსამსახურეებმა... თუ შარშან „მორბენლის დღეს" სტარტზე რაიონის 1000 ფიზკულტურელი გამოვიდა, წლეულს მათი რაოდენობა 15000-მდე გაიზარდა. „სინათლის" სტადიონზე საზეიმო ატმოსფერო სუფევდა — სპორტულ შეჯიბრებებს ქართული ცეკვა ცვლიდა 39-ე საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლის შესრულებით. მაყურებელთა წინაშე საჩვენებელი გამოსვლებით წარსდგნენ ნორჩი მხატვრული ტანმოვარჯიშეები, რომელთაც რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ნ. ანდრონიკაშვილი („სპარტაკი") წვრთნის. ლამაზი სანახავი იყო კარატეისტთა საჩვენებელი „ბრძოლებიც".

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მასობრივმა შეჯიბრებებმა — 4X100 მ ესტაფეტამ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს არა მარტო სკოლებისა და ტექნიკუმების მოსწავლეებმა, არამედ საწარმოო კოლექტივების წარმომადგენლებმა, ბაგირის გადაძალვამ, სიმძიმეების აწევამ და რაღა თქმა უნდა, საფეხბურთო ბატალიებმა.

ქალთა ესტაფეტაში უძლიერესი იყო საქალაქო შეჯიბრების „მთელი ბრიგადით სტარტზე" გამარჯვებული თეთრეულის ტრიკოტაჟის გამომშვები საწარმოო გაერთიანების სამკერვალო საამქროს ბრიგადა. ვაჟთა შორის კი იმარჯვეს მილიციის უმაღლესი სკოლის კურსანტებმა. სკოლების შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვა სკოლა-ინტერნატის გუნდმა.

გ. ალიევმა ყველას აჯობა ძალოსანთა [illegible]. აღსანიშნავია, რომ მესამე პრიზიორი გახდა... თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ყოფილი მოთამაშე მანუჩარ მაჩაიძე.

ბაგირის გადაძალვაში თავი ისახელეს მილიციის უმაღლესი სკოლის II კურსის გუნდმა და 173-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა.

ზეიმის დასასრულს გაიმართა საფეხბურთო მატჩი გლდანის რაიონის სპორტსკოლის გუნდების მონაწილეობით, რომელმაც საინტერესო სპორტულ ბრძოლაში ჩაიარა.

**განსაკუთრებული** ხალხმრავლობა შეინიშნებოდა მოსკოვის პროსპექტზე, სადაც თავი მოეყარათ **საქარხნო** რაიონის მუშა-მოსამსახურეებს, მოსწავლე-ახალგაზრდობას და რაიონის მოსახლეობას. მონაწილეთა რიცხვი 35000-ს აღემატებოდა, ლოზუნგებით და ტრანსპარანტებით მორთული პროსპექტი, შესაფერისი მუსიკა, ფინიშთან გამართული სხვადასხვა სპორტული ღონისძიება, სიგელებითა და თასებით სავსე მაგიდა ასპარეზობის ხალისს უღვივებდა მონაწილეებს. ჭადრაკის მოყვარულნი ერთმანეთს ეცილებოდნენ ერთდროული პარტიების სეანსში, რომელიც საერთაშორისო დიდოსტატმა თ. გიორგაძემ წარმართა.

ასპარეზობას ხალისი შემატა მცირე მარათონის მონაწილეთა ჯგუფმა, მათ შორის იყვნენ რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრები, რომელთაც სათავეში რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ა. იაცკევიჩი ედგა.

უნდა აღინიშნოს ღონისძიების საერთო ორგანიზებულობა, რაც იმან განაპირობა, რომ საქარხნო რაიონში ბოლო დროს სისტემატურად ეწყობა მასობრივი სპორტული ღონისძიებები, რომელიც ყოველთვის გამოირჩევა მასობრიობით და ორგანიზებულობით.

●

**მორბენლის** საკავშირო დღეს **რუსთავში** გაიმართა დიდი სპორტული ზეიმი. ქუჩებში, სტადიონსა და პარკებში ათასობით სხვადასხვა ასაკის რუსთაველი გამოვიდა.

დილით ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე სტარტი აიღეს ქალაქის საშუალო სკოლების სპორტსმენებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ ტრადიციულ მძლეოსნურ ესტაფეტაში, ყოველწლიურად რომ იმართება სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით.

თავიდანვე დაწინაურდნენ მე-20 საშუალო სკოლის მძლეოსნები, ისინი ლიდერობას ინარჩუნებდნენ მეცხრე ეტაპამდე, მაგრამ ბოლო ეტაპზე მე-19 საშუალო სკოლის მოსწავლე ო. კლეპიკოვამ იმარჯვა და ფინიშთანაც პირველი მიიჭრა, მეორე იყო გ. დელიანოვი (მე-20 საშუალო სკოლა), ხოლო მესამე — კ. კირაპოვი (№ 1 საშუალო სკოლა). აღსანიშნავია, რომ მე-19 საშუალო სკოლის მძლეოსნებმა წელს ზედიზედ მეცამეტედ გაიმარჯვეს ასეთ შეჯიბრებაში.

შემდეგ მეგობრობის გამზირიდან ათასობით სხვადასხვა ასაკის ადამიანმა მიიღო მონაწილეობა მორბენლის საკავშირო დღისადმი მიძღვნილ მარშ-გარბენში, რომლის ფინიში „მეტალურგის" სტადიონზე მოეწყო. აქვე გაიმართა მასობრივი მძლეოსნური კროსები.

● ● ●

**სურათებზე:** მორბენლის დღეს მომზადებული შეხვდა დედაქალაქის პირველი მაისის რაიონი — მძლეოსნური კროსი პლეხანოვის პროსპექტზე; ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში ახალგაზრდები ბაგირის გადაძალვაში ეჯიბრებიან ერთმანეთს; ოლიმპიური ჩემპიონი რობერტ შავლაყაძე სტარტის წინ ესაუბრება გარბენის მონაწილეებს (მარჯვნივ, ზემოდან — ქვემოთ) — გულღიად შეხვდა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონის მორბენლის დღეს გამართული კროსის მონაწილეებს, სტარტი ეძლევათ მორბენლებს ლენინის რაიონში; მძლეოსნური გარბენის ფინალი გლდანის რაიონში; აჯილდოებენ საქარხნო რაიონში ჩატარებულ კროსში გამარჯვებულებს. ქვემოთ — განსაკუთრებული მასობრიობით აღინიშნა მორბენლის საკავშირო დღე ინდუსტრიულ ქალაქ რუსთავში; მძლეოსნური კროსის მონაწილენი რუსთავის ცენტრალურ სტადიონსა და ქალაქის ქუჩებში.





●

მორბენლის საკავშირო დღისადმი მიძღვნილი ნომრის მასალები მოამზადეს კორესპონდენტებმა: ნინო სიჭინავამ, რაჟდენ გაბრიჭიძემ, გიორგი ჩოჩიშვილმა, გია ახალაძემ, ანზორ ბარქაიამ, ნანა ჯოხარიძემ, ოთარ ნოზაძემ, ალა ზენკომ.

ფოტოკორესპონდენტებმა: ზაურ ჭავჭავაძემ, სოსო ბითაძემ, თამაზ ქიქავამ, ალექსანდრე კოტორაშვილმა, ალბერტ ვაჩიანმა.



## უმაღლესი ლიგა

**„ფახთაქორი" (ტაშკენტი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 2:1 (1:1).**

ტაშკენტი. „ფახთაქორის" სტადიონი. 11 სექტემბერი.

„ფახთაქორი": იანოვსკი, იაკიმცოვი, ბელიალოვი, ჟურავლიოვი, დენისოვი, ახმედოვი, ბონდარენკო, იაკუბიკი, ივანოვი (ამრიევი), შკვირინი (ნოვიკოვი), კაბაევი.

„ტორპედო": გაბელია, კოსტავა, თევზაძე, ჭელიძე, კურტანიძე, თავაძე (ბურკაძე), კორღალიძე, ვახაძე, მეგრელაძე, გორგილაძე, უგულავა (თვალაბეიშვილი).

მსაჯი ი. სერგიენკო (ხარკოვი).

გააფრთხილეს გორგილაძე.

დუბლიორები — 2:2. ქუთაისელთაგან ბურთები გაიტანეს ვერულაშვილმა და ჭიაბრიშვილმა.

სანახაობრივი თვალსაზრისით მატჩი ვერ გამოდგა საინტერესო, ტაშკენტელებმა ძლივს შეძლეს 2 ქულის აღება მეტოქესთან, რომელიც თავგამოდებით იბრძოდა თავისი ქულათა მარაგის შესავსებად.

მიმდინარეობდა მატჩის 27-ე წუთი, როცა ტაშკენტელმა ბონდარენკომ თავის საჯარიმო მოედანზე უხეშად წააქცია მეგრელაძე, დაინიშნა 11-მეტრიანი დარტყმა. დარტყმა ზუსტად შეასრულა კორღალიძემ — 1:0. რამდენიმე წუთის შემდეგ შკვირინის გადაცემისას მოწინააღმდეგე კართან კარგად შეარჩია თავისუფალი ადგილი იაკუბიკმა და საპასუხო ბურთი გაიტანა — 1:1.

შესვენების შემდეგ, 59-ე წუთზე, „ფახთაქორის" იერიშის დროს კვლავ გამოიჩინა თავი იაკუბიკმა და მის მიერ გატანილი ამ გოლის წყალობით „ფახთაქორმა" შეძლო გამარჯვების მოპოვება.

### გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 18 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დნეპრი" | 29 | 18 | 5 | 6 | 52—31 | 41 |
| „სპარტ." | 28 | 15 | 8 | 5 | 50—18 | 38 |
| „ზენიტი" | 28 | 13 | 8 | 7 | 35—25 | 34 |
| „დინ." მნ. | 27 | 13 | 7 | 7 | 40—28 | 33 |
| „ფახთ." | 28 | 12 | 9 | 7 | 34—24 | 33 |
| „ტორპ." მ. | 28 | 11 | 10 | 7 | 32—27 | 32 |
| „შახტ." | 28 | 14 | 3 | 11 | 42—30 | 31 |
| „დინ." კ. | 28 | 11 | 9 | 8 | 35—29 | 31 |
| „ჩალგ." | 28 | 11 | 9 | 8 | 27—32 | 31 |
| „ჩერნ." | 28 | 12 | 5 | 11 | 34—39 | 29 |
| ცსკა | 28 | 10 | 9 | 9 | 34—29 | 29 |
| „მეტალ." | 28 | 10 | 5 | 13 | 35—38 | 25 |
| „არარ." | 28 | 10 | 4 | 14 | 25—39 | 24 |
| „ნეფთჩი" | 28 | 8 | 8 | 12 | 28—35 | 24 |
| „დინ." მ. | 27 | 7 | 9 | 11 | 23—28 | 23 |
| „დინ." თბ. | 27 | 7 | 6 | 14 | 36—43 | 20 |
| „ტორპ." ქ. | 29 | 4 | 9 | 16 | 22—45 | 17 |
| „ნისტრუ" | 29 | 3 | 3 | 23 | 18—62 | 9 |

## II ლიგა

11 სექტემბერს გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი, 28-ე ტურის კალენდარული მატჩები.

**„დილა" (გორი) — „არაზი" (ნახიჩევანი) 3:1 (1:0).**

გორელთა შემადგენლობაში ახლა გამოდიან ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელები, რომლებიც დიდი მონდომებით იბრძვიან, რათა ხელი შეუწყონ „დილის" წარმატებებს და გააუმჯობესონ მისი სატურნირო მდგომარეობა. მათ ახლაც თავგამოდებით ითამაშეს, რათა 2 ქულა აეღოთ მეტოქესთან შეხვედრაში.

მასპინძლებს პირველ ტაიმში საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, რამდენიმე გამოუყენებელი მომენტის შემდეგ მიზანს მიაღწია ძებისაშვილმა და გახსნა ანგარიში — 1:0.

შესვენების შემდეგ ნახიჩევანელებმა საპასუხო იერიში განავითარეს და ანგარიშიც გაათანაბრეს (ჰასანოვი), მაგრამ შემდგომში გორელები ისევ განუწყვეტლივ უტევდნენ, მე-80 წუთზე თორღაშვილმა მეორე ბურთი გაიტანა მეკარე ისმაილოვის კარში, საბოლოოდ კი „დილის" გამარჯვებას წერტილი დაუსვა გაზაშვილმა — 3:1.

ი. თევდორაშვილი.

(ტელეფონით, „ლელოს" კორ.).

**„მერცხალი" (მახარაძე) — „დინამო" (სოხუმი) 2:1 (1:1).**

დასაწყისშივე უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა სოხუმელმა ფეხბურთელებმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს მახარაძელ მაყურებლებზე. დაახლოებით 20 წუთი მინდორზე მიმდინარეობდა თანაბარი ბრძოლა, შემდეგ, 21-ე წუთზე, წარმატებას მიაღწია მახარაძელმა დოლქენოკმა, მაგრამ რამდენიმე წუთში ძალამიძემ აღადგინა თანაფარდობა — 1:1.

შესვენების შემდეგ ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობა „მერცხალს" ჰქონდა, სოხუმელთა კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა, 65-ე წუთზე თოფურიძემ მიიღო ხომაშურიძის გადაცემა და გაიტანა გადამწყვეტი გოლი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა მასპინძლებს.

ვ. შავიშვილი.

(ტელეფონით, „ლელოს" კორ.).

* * *

ტურის სხვა შედეგები: „მეშახტე" (ტყიბული) — „კოლხეთი" (ფოთი) 3:0, „ქიაფაზი" (კიროვაბადი) — „ყარაბახი" (სტეფანაკერტი) — 4:2, „ავტომობილისტი" (მინგეჩაური) — „შირაკი" (ლენინაკანი) 1:0, „ხაზარი" (ლენქორანი) — „სპარტაკი" (ოქტემბერიანი) 3:1, „კოტაიკი" (აბოვიანი) — „დინამო" (ბათუმი) 1:0, „ოლიმპია" (არტაშატი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 3:1.

### გათამაშების ცხრილი

II ლიგა, IX ზონა

მდგომარეობა 18 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოტაიკი" | 26 | 14 | 8 | 4 | 60—35 | 36 |
| „მერცხ." | 25 | 14 | 3 | 8 | 30—25 | 31 |
| „დინ." ბ. | 24 | 13 | 5 | 6 | 42—18 | 31 |
| „დილა" | 26 | 13 | 5 | 8 | 38—31 | 31 |
| „კოლ-ჩი" | 24 | 13 | 4 | 7 | 45—29 | 30 |
| „მეშახტე" | 25 | 13 | 3 | 9 | 39—33 | 29 |
| „კოლხეთი" | 25 | 12 | 5 | 8 | 39—30 | 29 |
| „ლოკომ." | 24 | 11 | 5 | 8 | 33—20 | 27 |
| „ქიაფაზი" | 26 | 11 | 5 | 10 | 44—41 | 27 |
| „ხაზარი" | 25 | 9 | 7 | 9 | 32—36 | 25 |
| „შირაკი" | 25 | 10 | 4 | 11 | 39—36 | 24 |
| „დინ." ს. | 25 | 8 | 6 | 11 | 23—35 | 22 |
| „ყარაბ." | 24 | 9 | 3 | 12 | 30—30 | 21 |
| „სპარტ." | 25 | 8 | 2 | 15 | 31—40 | 18 |
| „ავტომ." | 25 | 6 | 5 | 14 | 26—47 | 17 |
| „არაზი" | 24 | 5 | 4 | 15 | 24—55 | 14 |
| „ოლიმპია" | 26 | 3 | 6 | 17 | 23—58 | 12 |

## მექსიკა ემზადება

მექსიკის ფეხბურთის ფედერაცია ემზადება მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატის ჩასატარებლად. მან ფიფა-ს წარუდგინა იმ სტადიონების სია, სადაც გაიმართება თამაშები.

**მეხიკო.** სტადიონი „აცტეკი" (ეტევა 110 ათასი მაყურებელი), „ესტადიო დე ლოს დეპორტესი" (45.000), „ესტადიო უნივერსიტარიო" (78.000), **ქ. მონტერეი.** „ესტადიო უნივერსიტარიო" (50.000). „ესტადიო ტეკნოლოგიკო" (37.500); **ქ. გვადალახარა.** „ხალისკო" (72.000), „3 მარტი" (35.500); **ქ. ტოლუკა** (32.000), **ქ. ლეონი** (31.000), **ქ. ვერა-კრუზი** (25.000), **ქ. ნეცა** (37.500), **ქ. პუებლა** (37.500), **ქ. ტემპიკო** (30.000), **ქ. ხუარეხი** (30.000), **ქ. ტორეონი** (25.000).

ამ სტადიონებიდან ხუთზე მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონატის მატჩებიც მიმდინარეობდა (მეხიკოს „აცტეკი", „ხალისკო", აგრეთვე, პუებლოს, ტოლუკასა და ლეონის სტადიონები).

● ჭადრაკი

# დაწინაურდა ნონა

**ესპანეთის** დედაქალაქ მადრიდის ახლოს, აგარაკ პლაია დეაროში, მიმდინარეობს ქალთა საერთაშორისო ტურნირი.

შეჯიბრებაში 10 მოჭადრაკე მონაწილეობს. მათ შორის არიან ნონა გაფრინდაშვილი და კიდევ სამი დიდოსტატი.

ჩინებული სტარტი აიღო ქართველმა მოჭადრაკემ. პირველ ორ ტურში მან ორი ესპანელი ოსტატი დაამარცხა, III ტურში მოუგო რუმინელ დიდოსტატ მ. მურეშანს. IV ტურში დიდი ინტერესი გამოიწვია გაფრინდაშვილის შეხვედრამ შვედ დიდოსტატ პ. კრამლინგთან. პარტია გადაიდო ნონას მცირე უპირატესობით, მაგრამ თამაშის განახლებისას კრამლინგმა შეძლო ყაიმის მიღწევა.

4 ტურის შემდეგ ლიდერობს ნ. გაფრინდაშვილი — 3,5 ქულა, შემდეგ მოდიან პ. კრამლინგი — 3 და მ. მურეშანი — 2,5.

გუშინ მონაწილენი ისვენებდნენ. ტურნირი 17 სექტემბრამდე გასტანს.

(საქ. ინფ.).

---

# კასპაროვი, ლარსენი...

**იუგოსლავიის** ქალაქ ნიკშიჩში დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირზე ბოლოსწინა, XIV ტურის შეხვედრები გაიმართა. ამ დღეს თავისუფალი იყო კასპაროვი, რომელმაც 10 ქულით ვადამდე გაინაღდა გამარჯვება.

ლარსენმა (დანია) ბოლო პარტია მოუგო ივანოვიჩს (იუგოსლავია) და 9 ქულით II ადგილი დაიკავა.

ტიმანმა (ჰოლანდია) დაამარცხა გლიგორიჩი (იუგოსლავია), პორტიშმა (უნგრეთი) — ნიკოლიჩი (იუგოსლავია). ყაიმზე შეთანხმდნენ სეირავანი (აშშ) — ანდერსონი (შვეცია), პეტროსიანი — მაილსი, საქსი (უნგრეთი) — ტალი და ლიუბოევიჩი (იუგოსლავია) — სპასკი.

III ადგილისთვის იბრძვიან ლ. პორტიში — 7,5, ბ. სპასკი — 7, მ. ტალი, უ. ანდერსონი, ი. ტიმანი — 6,5-6,5 და ე. მაილსი — 6 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

გასამართავია მხოლოდ XV ტური.



# „ავაზა“ იწვევს

**თბილისის** განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის სპეციალიზებული სპორტსკოლა „ავაზა“ იწვევს 1971-76 წლებში დაბადებულ ბიჭებს. მიღება ყოველდღე 9-დან 11 საათამდე და 14-დან 17 საათამდე.

მისამართი: დიღმის მასივი, III კვარტალი, № 39 კორპუსი.

● ჩოგბურთი





# „დინამოს“, შეიარაღებული ძალების...

**იმ** ფაქტმა, რომ დინამოელთა გუნდების შემადგენლობაში გამოდიოდნენ თბილისელი ჩოგბურთელები ირინე მალაციძე და ვიქტორ ხურდა, ცხადია, ბევრად განაპირობა ტრიბუნების არჩევანი: კვირას ფინალურ მატჩებზე მოსული სპორტის მოყვარულების უმრავლესობა თეთრ-ცისფრებს გულშემატკივრობდა.

უნდა ითქვას, რომ პროგნოზების მოყვარულნი ერთობ შეცდნენ, როდესაც ქალთა გუნდებში უპირატესობას დინამოელებს ანიჭებდნენ, ვაჟებში კი — არმიელებს, მოხდა პირიქით! „დინამოს“ ვაჟთა გუნდმა სასტიკი დამარცხება აგემა მეტოქეს — 8:1, ხოლო ქალთა დავაში ფალრესად მწვავე ბრძოლის შემდეგ ანგარიშით 4:5 დათმო საპატიო თასი.

ვერ ვიტყვით, რომ თბილისის „დინამოს“ კორტებზე გამართულმა ბრძოლებმა მაყურებელთა სოლიდური აუდიტორია შეკრიბა. უნებლიედ გაგვახსენდა წინა წლების მატჩები. მაშინ კორტზე ჩოგნის დიდოსტატები მეტრეველი და კაკულია გამოდიოდნენო — გვეტყვიან ოპონენტები. მართალია! მაგრამ მტკვრის სანაპიროზე განლაგებულ კორტებს ახლოვთ „სხვათა“ გამოსვლებიც, მაგალითად მოსკოველ ნიკოლოზ ოზეროვისა და ლენინგრადელ ედუარდ ნეგრებეცკის დაუვიწყარი ორთაბრძოლა, რომლის სანახავად იმდენი გულშემატკივარი მოვიდა, რომ ერთ კარგ სტადიონს აავსებდა. მაგრამ კმარა ამაზე.

...დინამოელებმა, სპორტის ოსტატებმა ი. ფატეევამ (სოჭი) და ა. ჩერნეცკიმ (სიმფეროპოლი), რომლებმაც გახსნეს გადამწყვეტი დღის შეჯიბრება, შესაბამისად მოსკოველებთან ე. მანიუკოვასთან და დ. ფიოდოროვთან გამარჯვების შემდეგ (4:6, 7:6,6:3 და 6:2, 7:5) დააწინაურეს თავიანთი გუნდები. ვაჟთა ასპარეზობისას ეჭვი არ გვეპარებოდა რიგელი გ. ძელდეს (იგი იურმალას ტურნირის მონაწილეა, ევროპის ჩემპიონი შერეულ წყვილთა შორის იუნიორებში), ლვოველი ს. გრუზმანისა და თბილისელი ვ. ხურდას წარმატებაში. სხვათაშორის, ხურდამ ამ დღეს ჯერ ძლიერ კიეველ ოსტატს გ. ავდეევს სძლია (7:5, 6:4, 7:5), შემდეგ კი ჩერნეცკისთან ერთად დაამარცხა ფიოდოროვ-ბაკულევის (ორივე — მოსკოვი) წყვილი —7:6, 6:3.

იურმალას ჩემპიონატის მონაწილე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატთა—მინსკელ ს. ლეონიუკისა და მოსკოველ კ. პუგაევის შეხვედრაში დაწინაურდა მინსკელი ჩოგბურთელი და... პუგაევმა უარი თქვა ბრძოლის გაგრძელებაზე. არმიელებმა ამ დღეს არ გამოიყვანეს მეორე წყვილიც, რომელსაც უკვე აღარ შეეძლო გავლენა მოეხდინა შეხვედრის ბედზე.

საპატიო თასს, როგორც გასულ წელს, „დინამოს“ ვაჟთა გუნდი (მწვრთნელი ვ. ჩერნიშოვი) დაეუფლა.

„დინამოს“ ქალთა გუნდს მეორე ქულა მალაციძემ მოუტანა, რომელმაც ადვილად „დაამშამათა“ ალმაათელი ლ. გუშული (6:2, 6:1). მანვე ფატეევასთან ერთად მოიგო წყვილთა შეხვედრა ბიკოვა — მანიუკოვასთან (6:1, 7:5). აღსანიშნავია, რომ მეორე პარტიაში გამარჯვებულები აგებდნენ 0:5.



ქალთა ასპარეზობაში 8 შეხვედრის შემდეგ ანგარიში თანაბარი იყო — 4:4. ყველაფერი ახლა დინამოელ ი. სალნიკოვა (მოსკოვი) — ე. რიჟიკოვასა (კიევი) და არმიელ ნ. ავდეევა (კიევი) — ო. ლიფანოვას (მოსკოვი) წყვილთა შეხვედრაზე იყო დამოკიდებული. სამწუხაროდ, გუნდის ლიდერი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 19 წლის ი. სალნიკოვა (იგი საკავშირო კლასიფიკაციაში მეხუთე ადგილზეა) ამ დღეს არ იდგა მოწოდების სიმაღლეზე. მან ჯერ, შეიძლება ითქვას, უბრძოლველად დათმო მატჩი 23 წლის კიეველ სპორტის ოსტატ ნ. ავდეევასთან (იმავე კლასიფიკაციით ერთი საფეხურით დაბლა დგას), მერე კი დაძაბულ ბრძოლაში წააგო წყვილთა შეხვედრაც — 3:6, 5:7, ამრიგად, შეიარაღებული ძალების ქალთა გუნდი (მწვრთნელი ა. ვოლკოვი) თასის ახალი მფლობელი გახდა.

... გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ საპატიო თასები, სპეციალური პრიზებით და სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოვდნენ ტურნირის საუკეთესო მოთამაშეები. გუნდების კაპიტნებმა ნ. ავდეევამ და ა. ბოგომოლოვმა საზეიმო ვითარებაში დაუშვეს ექვსდღიანი შეჯიბრების ალამი.

ასპარეზობის შემდეგ ჩვენი თხოვნით გვესაუბრა საკავშირო სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი ჩოგბურთში, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ქვეყნის 6-გზის ჩემპიონი, წლების მანძილზე (1960–1973) საკავშირო ნაკრები გუნდების უფროსი მწვრთნელი **სერგეი ანდრეევი:**

— უპირველეს ყოვლისა აღვნიშნავ ტურნირის კარგ ორგანიზაციას. კმაყოფილი ვარ მისი შემადგენლობითაც. რაც შეეხება შეჯიბრების წმინდა სპორტულ მხარეს, მისი დონე მაინც და მაინც არ იყო მაღალი. მართალია ნიჭიერი ახალგაზრდობა მუდამ გვყავდა, ამ ტურნირზეც იყვნენ პერსპექტიული მოთამაშეები, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი ტექნიკა აშკარად ჩამორჩება უცხოელ თანატოლთა ტექნიკას, უფრო მეტიც: სხვაობა მათში წლითიწლობით სულ უფრო შესამჩნევი ხდება. განსაკუთრებით ეს ეხება უკანასკნელ ათწლეულს. დიახ, ისეთი ნიჭიერი სპორტსმენი, როგორიც საბჭოთა ჩოგბურთის ერთ-ერთი ლიდერი ალექსანდრე ზვერევია, დღეს, შეიძლება ითქვას, ისევე თამაშობს, როგორც ამ რამდენიმე წლის წინათ — მისი ტექნიკა რატომღაც გაიყინა ერთ წერტილზე. იქნებ ეს იმითაც აიხსნება, რომ ჩვენ ნაკლებ ყურადღებას ვუთმობთ ტექნიკის, ასე ვთქვათ, „ჩადებას“ ნორჩ ჩოგ-



ბურთელებში. დამეთანხმებით, ალბათ, რომ მისი შეხვედრა ბოგომოლოვთან არ გამოირჩეოდა დიდი ტექნიკურ-ტაქტიკური მრავალფეროვნებით, საკმაოდ შორს იდგა პროფესიონალურ ჩოგბურთელთა თამაშისაგან. ადრე ჩვენ გვყავდა ჩოგნის ნამდვილი დიდოსტატები — გალინა ბაკშეევა, ოლღა მოროზოვა, მარინა კროშინა, ნატალია ჩმირიოვა, თომას ლეიუსი, იური კოროტკოვი, თქვენები ალექსანდრე მეტრეველი და თეიმურაზ კაკულია... როგორც ხედავთ, არსებობდა ძლიერი საბჭოთა საჩოგბურთო სკოლა. დღეს კი იგი, შეიძლება ითქვას, აღარ არის. ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი გვყავს, მაგრამ დიდი ჩოგბურთი არ გვივარგა. მართალია, მაღალხარისხოვანი ინვენტარის ნაკლებობაც სერიოზულად გვიშლის ხელს, მაგრამ მთავარი მაინც ეს არ არის, მთავარი მიზეზი — მწვრთნელების სუსტ მუშაობაში უნდა ვეძებოთ — ადგილებზე, ბავშვებთან. ნაკრებში უკვე მომზადებული ჩოგბურთელები უნდა მოდიოდნენ, რადგანაც ჩვენი მთავარი გუნდების მწვრთნელებს აღარ რჩებათ იმის დრო, რომ მოთამაშეს ტექნიკური ილეთები ასწავლონ. ამ მხრივ ერთობ ცუდ სამსახურს გვიწევს შეჯიბრებების რაოდენობის გაზრდაც — სპორტსმენები სულ ასპარეზობაზე მიიჩქარიან, სულ გზაში არიან და ვარჯიშისათვის დროს ველარ პოულობენ.

თბილისის ტურნირზე გოგონათა შორის კარგი შთაბეჭდილება დატოვა ერევნელმა ლარისა ოვსეფიანმა. იგი რაღაცით ოლღა მოროზოვას მაგონებს. კარგა ხანია (ალბათ, 8 წელიწადი) ვადევნებ თვალყურს თბილისელ ირინე მალაციძესაც. ნიჭიერი, გულმოდგინე სპორტსმენია. ამ ტურნირზე ირინემ ექვსივე შეხვედრა მოიგო (3-3 ერთეულებსა და წყვილებში). ვისურვებდი, რომ მალაციძემ კიდევ უფრო მეტი იმუშაოს საკუთარ თავზე და შედეგიც, ეჭვგარეშეა, არ დააყოვნებს. ასევე ყველა (6) შეხვედრა მოიგო თქვენმა ვიქტორ ხურდამაც. 18 წლის ჩოგბურთელს საუკეთესო საბრძოლო თვისებები გააჩნია, კარგად ფლობს დარტყმას მარჯვნიდან, აი მარცხნიდან კი...

საერთოდ, საქართველოში ახლაც ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ჩოგბურთელია. ავიღოთ თუნდაც 15 წლის ლეილა მესხი. მას შეუძლია გულმოდგინე მუშაობის შედეგად კარგი ჩოგბურთელი დადგეს. ან და 12 წლის გია კუპრეიშვილი. მან წლეულს უფლება მოიპოვა ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატში გამოსულიყო (საფრანგეთი, ქალაქი ბლოა) და მეორე ადგილზე გავიდა წყვილთა შორის. გია ლამაზად, მსუბუქად თამაშობს. თუ ანალოგიებს გავაგრძელებთ, ვიტყვი, რომ იგი ამ მხრივ მეტრეველს მაგონებს.. თეიმურაზ კაკულიას (იგი დღეს ბავშვთა — მოზარდთა ჩოგბურთის ოლიმპიური რეზერვის სკოლას უდგას სათავეში) თხოვნით მე რამდენიმე გაკვეთილი ჩავუტარე ორივეს და მათ თანატოლებს. მინდა ვიფიქრო, რომ ისინი რამდენადმე მაინც გამოადგებათ დაოსტატებაში. აქვე მოვიხსენიებ კიდევ ორ უდავოდ ნიჭიერ სპორტსმენს — 16 წლის დავით კაჭარავას და 15 წლის ვლადიმერ გაბრიჭიძეს. მათაც იგივეს — ვარჯიშს, ვარჯიშს, ვარჯიშს ვუსურვებდი.

ო. ნოზაძე.

• • •

**სურათებზე: სსრ კავშირის თასის მფლობელები — შეიარაღებული ძალების ქალთა და „დინამოს“ ვაჟთა ნაკრები გუნდები; დინამოელებმა ი. მალაციძემ (ზემოთ) და ვ. ხურდამ სპეციალური პრიზები დაიმსახურეს ტურნირში წარმატებით გამოსვლისათვის.**

**გ. ახალაძის ფოტოები.**

# კალათბურთის ფარებთან

— **უნგრეთის** ქალაქ ზალაეგერსეგში დაიწყო კალათბურთელ ქალთა გუნდების ევროპის ჩემპიონატი. აქ საბჭოთა სპორტსმენებთან ერთად გამოდიან შვეციის, გფრ-ის, იტალიის, ბულგარეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. პირველ მატჩში საბჭოთა კალათბურთელები შეხვდნენ შვედებს და გაიმარჯვეს ანგარიშით 105:74 (48:40). საბჭოთა გუნდის მორიგი მეტოქე იქნება ბულგარელთა კოლექტივი, დანარჩენი ექვსი გუნდი მიშკოლცში ასპარეზობს. თითოეულ ჯგუფიდან ორი საუკეთესო გუნდი ნახევარფინალში გავის. 17 სექტემბერს ბუდაპეშტში მოეწყობა ნახევარფინალური მატჩები, ხოლო აქვე მეორე დღეს გაიმართება ფინალი.

**სსრ კავშირის** კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდი ტურნეს მართავს იტალიაში. საბჭოთა კალათბურთელებმა უკვე სამი მატჩი გამართეს. მილანში მათ წააგეს ადგილობრივ კლუბ „სიმაკთან“ — 83:86 (39:41), შემდეგ ვერონაში შეხვდნენ გუნდ „ვიჩენცას“, რომელიც დაამარცხეს 113:86 (62:44). მესამე მატჩი გამართეს პეზაროში ადგილობრივ „სკავოლინისთან“ და კვლავ გაიმარჯვეს 124:99 (65:43). სხვებთან ერთად სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში თამაშობს თბილისელი ნ. დერიუგინი.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე—07768

ეროვნული ბიბლიოთეკა